მე-3 კლასი

ნაწილი I - გრამატიკა

1.შეიძლება თუ არა ერთი ხმოვნის გადატანა სტრიქონიდან სტრიქონზე?

ა) შეიძლება ბ) არ შეიძლება გ) ზოგჯერ შეიძლება, ზოგჯერ - არა

2.რამდენი მარცვალია წინადადებაში:

„ სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ა) ათი ბ) თორმეტი გ) თექვსმეტი

3.რომელია სწორად დამარცვლილი?

ა) მხ-ნე ბ) ან-და-მა-ტი გ) მო- მღ-ერა-ლი

ნაწილი II - ლექსიკა /ფრაზეოლოგია

4.რომელია მოქმედების გამომხატველი სიტყვა წინადადებაში:

„ ერთხელ პატარა წიწილამ ეზოში გასეირნება გადაწყვიტა.“

ა) პატარა ბ) გადაწყვიტა გ) გასეირნება

5. რას ნიშნავს მხატვრული გამონათქვამი: „არაქათი გამოელია“?

ა) სასმელი გამოელია ბ) დაიღალა გ) გაბრაზდა

6.რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი სასვენი ნიშანი?

ა) ვინ სწავლობს ყველაზე კარგად! ბ) არ დაანაგვიანოთ ოთახი?

გ) სახაზავი, საშლელი, ფანქარი უყიდეს პირველკლასელ დათას.

ნაწილი III - წაკითხულის გააზრება

ნაცარქექია (ნაწყვეტი)

„ დევმა ნაცარქექია შინ მიიწვია. შემოდგა ცეცხლზე კეცი, დააკრა პური და სანადიროდ წავიდა. პურს ერთი გვერდი რომ გამოუცხვა, ნაცარქექიამ გადმობრუნება მოუნდომა, მაგრამ კეცი გადმოვარდა და ნაცარქექია ქვეშ მოიყოლა. დაბრუნდა დევი და რას ხედავს: მისი სტუმარი კეცს მოუყოლებია ქვეშ.

_ მუცელი ამტკივდა და ცხელი კეცი დავიდე. ახლა ტკივილმა გადამიარა, ამაცალეო! _ შესძახა ნაცარქექიამ.

დევმა კეცი აცალა და ცეცხლზე შემოდგა. მალე პურიც გამოცხვა.დევმა ხორცი მოხარშა და დასხდნენ სავახშმოდ. უცებ დევმა დააცემინა და ქარმა ნაცარქექია ჭერში ააგდო. აიხედა დევმა და დაინახა, ნაცარქექია თავხეს ებღაუჭება.

_ როგორ გაბედე ჩემთან დაცემინება! _ ამ წკეპლას გამოვაძრობ და სულს გაგაფრთხობინებო, _ ჩამოსძახა ნაცარქექიამ.“

7.როგორი პერსონაჟია დევი?

ა) გამოგონილი ბ) ნამდვილი გ) ერთიც და მეორეც

8.ნაცარქექიას რა თვისება ჩანს მისივე პასუხიდან: _ როგორ გაბედე ჩემთან დაცემინება!_

ა) გაბედულება ბ) ღონიერება გ) უსუსურობა

9.როგორ გესმით მხატვრული გამონათქვამი: „ სულს გაგაფრთხობინებო“?

ა) ცაში აგაფრენო ბ) მოგკლავო გ) გცემო

10. „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“_

ა) ეს ლექსის დასაწყისია ბ) ეს იგავ-არაკის დასაწყისია

გ) ეს ზღაპრის დასაწყისია